№ 95
ოთხშაბათი, 3 მაისი, 1900 წ.

ბაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

187. —1900

# ივერია

№ 95
ოთხშაბათი, 3 მაისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე

კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბიბთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვებისათვის ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი— მორიგებით.

ქუჩაა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის მეგობის შირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ საღამოს, სამშაბათს, 2 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში ამა ბანკის რწმუნებულთა კრებამ დაიწყო არჩევანები. კრებას დაესწრო სულ 150 რწმუნებული. ვიდრე არჩევანებს დაიწყებდნენ, ზოგიერთებმა იკითხეს: გამგეობის წევრად მისის თანამდებობის აღმასრულებელი კანდიდატი უნდა დარჩეს, თუ ახალი უნდა ავირჩიოთო. კრების თავმჯდომარემ აუხსნა, რომ რწმუნებულთა კრებისაგან არის დამოკიდებული, შეიძლება ხელახლად იქმნას არჩეული გამგეობის წევრიო. დაიწყო არჩევანები, რომელიც დაბოლოვდა ნაშუაღამევის პირველის ნახევარ საათზედ. კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ და კენჭი ეყარათ: ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრებად: უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი (130 თ.—19 შ.), თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი (122 თ.—27 შ.), თავ. ვ. გ. მაყაშვილი (104 თ.—45 შ.), გ. დ. ქურული (103 თ.—46 შ.), თავ. ა. ს. ლეონიძე (100 თ.—49 შ.), თავ. გ. ნ. დიასამიძე (98 თ.—51 შ.), ი. გ. თულაშვილი (96 თ.—53 შ.), თავ. მ. ნ. ვეზირიშვილი (95 თ.—54 შ.), თავ კ. ნ. აბხაზი (92 თ.—57 შ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (88 თ.—61 შ.) ამათ გარდა ზედამხედველ კომიტეტის წევრის თანამდებობაზედ კენჭი იყარეს პ. ი. ყიფიანმა (76 თ.—74 შ.), თავ. ნ. ა. თუმანიშვილმა (68 თ.—81 შ.) და გენ.-მაიორმა თ. გ. ჯომარჯიძემ (65 თ.—84 შ.), მაგრამ ეს უკანასკნელნი სამნი არ მოხვდნენ არჩეულთა შორის.

ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზედ ყუთი დაუდგეს თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს, რომელიც კრებას არ დაესწრო, და ამორჩეულ იქმნა იგი 120 თეთრის ხმით 30 შავის წინააღმდეგ. ბანკის გამგეობის წევრის თანამდებობაზედ კენჭი იყარეს და ამოუვიდათ: ა. ნ. ფურცელაძეს (89 თ.—60 შ.). თავ. დ. ა. გურამიშვილს (71 თ.—78 შ.), და თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილს (69 თ.—80 შ.), ამ გვარად გამგეობის წევრად, ბ-ნ პ. რ. ყიფიანის ნაცვლად ერთის წლის ვადით, ამორჩეულ იქმნა ბ-ნი ა. ნ. ფურცელაძე. დამფასებელ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზედ კენჭი იყარა ბ-ნმა კ. ლ. ფურცელაძემ და იგი ამორჩეულ იქმნა 118 თეთრის ხმის უმეტესობით 31 შავის წინააღმდეგ. ბანკის გამგეობის წევრის კანდიდატის თანამდებობაზედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ა. ი. სავანელი (86 თ.—63 შ.) და დამფასებელ კომისიის წევრის კანდიდატის თანამდებობაზედ—ბ-ნი კ. გ. ყავრიშვილი (83 თ.—66 შ.).

ამას გარდა რწმუნებულთა კრებას უნდა ამოერჩია ერთი წევრი დამფასებელ კომისიისა, თავ. ნ. ა. თუმანიშვილის ნაცვლად. ყუთი დაიდგა რვა კაცმა, სახელდობრ: ა. ლ. აბაზაძემ, თავ. გ. ლ. ჯანდიერმა, თავ. ი. გ. ჯორჯაძემ, თავ. ლ. ა. ერისთავმა, თავ. გ. ი. რატიშვილმა, თავ. დ. ნ. ამირაჯიბმა, ზ. ზ. გედევანიშვილმა და კ. დ. ყიფიანმა, მაგრამ ყველას შავი კენჭი მეტი ამოუვიდათ თეთრზედ და არც ერთი არ იქმნა ამორჩეული. აურჩევლად დარჩენილ დამფასებელ კომისიის ერთის წევრის ამოსარჩევად კრება გადაიდო დღეს, ოთხშაბათ, 3 მაისის, საღამოს 8 საათისათვის.

*** საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდგან ასის წლის შესრულების დღესასწაულობისათვის დანიშნულს საგანგებო კომისიას უკვე განუხილავს ა. ს. ბაზოვის მიერ შედგენილი ხარჯთ აღრიცხვა, რომლითაც გამოანგარიშებულია, ტფილისში ამ დღის სახსოვრად რომ საპოლიტეხნიკო მუზეუმი იქმნას დაარსებული, რა დასჭირდება.

*** 30 აპრილს მოხდა ქალაქის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა წლიური კრება. კრებამ, სხვათა შორის, განიხილა და მოიწონა ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, რომ მსესხებელთ ¼%. მაგივრად, რომელსაც დღემდის აძლევინებდნენ ბანკის ხარჯის დასაფარავად, გადაახდევინონ ხოლმე მხოლოდ ⅛%. ამავე კრებაზედ მოხდა არჩევანები თანამდებობის კაცთა. არჩეულ იქმნენ დირექტორად—ვ. ი. ყორღანოვი, ზედამხედველ კომიტეტების წევრებად: თავ. ა. ი. ბებუთოვი, ა. ი. თაიროვი, ი. ო. გურგენბეგოვი და გ. ა. ქოჩორიანცი.

*** სენატმა განმარტა, რომ გლეხთაგან ვინც სასწავლებელში შედის, მათ საგლეხო წოდებიდგან გამორიცხვის მოწმობა ეძლევა და ნადელიც ეკარგებათ, მაგრამ იმ შემთხვევაშიკი, თუ სასწავლებელს არ გაათავებენ და სახელმწიფო სამსახურში არ შევლენ, ისევ სოფელს დაუბრუნდებიან, არავითარი უფლება სოფლის საზოგადოებისა არ ეკარგებათ.

*** ახალს ათონში პოლიციის პრისტავისა და ორი უმცროსი პოლიციის თანამდებობა იქმნა დაარსებული. ხარჯი ამ მოხელეებისა მონასტერს შეეწერება.

*** გზათა სამინისტროს გარდაწყვეტილების თანახმად, რკინის გზებზედ მსახურ ექიმებს, მიუხედავად იმისა—სახელმწიფო რკინის გზებზედ იმსახურებენ, თუ კერძო გზებზედ, სამსახური სახელმწიფოდ ჩაეთვლებათ.

*** გზათა სამინისტროს რკინის გზათა მთავრობისათვის ნება დაურთავს ამ გზებზედ მსახურთათვის საღამოს კურსები დააარსონ. კურსებს აზრად ექმნება ყურისმგდებლებს განვითარებაში ხელი შეუწყოს და ახალი ცოდნა შესძინოს. ამ აზრით ხაზინა ყოველ წლივ გადაჰრილს თანხას გადასდებს.

*** წყალში განსაცდელისაგან მხსნელ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების წევრთა წლიურს კრებაზედ, 30 აპრილს, წაკითხულ ანგარიშიდგან როგორცა სჩანს, ტფილისის განყოფილებას 1900 წლის 1 იანვრამდე ჰყოლია 10 საპატიო წევრი, 1 მუდმივი, 115 ნამდვილი

## ფელეტონი

—

### ორიოდე სიტყვა სვანეთში უკანონოდ შეთვისებულთა შესახებ

(ამ საგნისათვის დაარსებულ კომისიის საყურადღებოდ)

ერთმა მაღალი თანამდებობის მქონე რუსმა, როდესაც სვანეთის შესახებ შემეკითხა და ნასიამოვნები დამრჩა ჩემის პასუხით, აი რა სთქვა: „ეგ ყველაფერი კარგი, აქედგანვე მაქვს წარმოდგენილი, რომ სვანეთის ბუნება საუცხოვო სანახავია, მაგრამ ერთი ნაკლი-კი დიდი სჭირს სვანეთს; ეგ იმგვარი მოვლენაა, რომელიც სვანეთს ზნეობრივ ამცირებს; ეს არის უკანონოდ შეთვისება და მრავალ-ცოლობა“. მე ამ სიტყვებმა მთელს ტანში ჟრუანტელსავით დამიარა. მოვისურვე ამეხსნა მესაუბრესათვის წინააღმდეგი და დამერწმუნებინა, რომ ის შეცდომაში შეუყვანიათ, მაგრამ რადგან ვიცოდი, რომ მესაუბრეს ვერ დავაჯერებდი, დავანებე თავი, ავდექი, ჩამოვართვი ხელი და თან მოვახსენე: ნახვამდის, ჩემო ბატონო, მაგრამ ვეცდები მალე შეგატყობინოთ ჩემი აზრი ამ საქმის შესახებ და იმედიც მაქვს, რომ ამ საგანს თქვენ სხვანაირად შეხედავთ, თუმცადა უარს ვერ ვიტყვი, მართლაც სვანეთში უკანონოდ შეთვისებულთა რიცხვი ბლომად არის-მეთქი, ხოლო რაც შეეხება მრავალ-ცოლობას, ეგ სიმართლეს არის-მეთქი მოკლებული. ჯერ ეს შემთხვევა და მეორედ ისა, რომ სვანეთში ამ საგნის შესახებ დაარსდა კომისია, მაიძულებს, ორიოდე სიტყვა ვთქვა სვანეთში უკანონოდ შეულებულთა შესახებ.

წინად სვანეთში სენსავით იყო მოდებული ეს საზარელი ჩვეულება, რომელიც ამ ბოლო ხანს ძლიერ შემცირდა და ეხლა-კი სრულიად მოისპო: ახლად დაბადებულ მდედრობითი სქესის ბავშვებს (და არა ყველას, როგორც ზოგნი ჰფიქრობდნენ) ჰხოცავდნენ. საქართველოში ამის შესახებ ბევრი ხმა დადიოდა (ჟურნალ-გაზეთებიც ბანს აძლევდნენ) და ჰფიქრობდნენ, რომ სვანები ბავშვებს ცხელს ნაცარს აყრიან პირში, მაგრამ ეს ცილის წამებაა. სვანეთში ბავშვებს (მდედრობითის სქესისას) ჰხოცავდნენ, მაგრამ ნაცრით-კი არა, არამედ ძუძუს არ აწოვებდნენ და ბავშვებიც იხოცებოდნენ. ამ ჩვეულების მიზეზად ზოგი სილარიბეს ასახელებდა, ზოგი რას და ზოგი რას. მაგრამ არც ერთი არ იყო ნამდვილი მიზეზი. უტყუარი მიზეზი ის არის, რომ ყოველი გაუნათლებელი ხალხი მამრობითს სქესს აძლევს უპირატესობას მდედრობითის წინაშე; სვანებიც ამ აზრისანი იყვნენ და ჰფიქრობდნენ, რომ პირმშო ქალის მოკვლით მათ შეეძინებოდათ ვაჟი. ეს არა სანატრელი ჩვეულება კეთილ-შობილებშიც იყო გავრცელებული ისე, როგორადაც დაბალწოდების ხალხში. ქვის გული უნდა ჰქონოდა იმ დედას, რომელიც შვილს სასიკვდილოდ იმეტებდა; ის სწუხდა, დედობრივი სიყვარული არა ჰქონდა გამქრალი, მაგრამ ნათქვამია—„დრონი მეფობენო“, და დრომაც მათ შორის ცვლილება მოახდინა. ამ ჩვეულებას მოჰყვა მდედრობითის სქესის შემცირება, რომელიც პირველად უფრო თვალ საჩინო იყო, ვიდრე ამ ბოლო ხანებში. ავიღოთ მაგალითად 1886 წელი.

| საზოგადოების სახელები | რიცხვი სულთა: ორივე სქესისა | მამრობითის სქესისა | მდედრობითის სქესისა | შეუღლებულნი | მდედრ. სქესი: ქვრივნი | მცირე წლოვანნი | ქალწულნი | მამრობ. სქესი: ბავშვები | უცოლონი | 60 წლის გადაცილებულნი | 80 ს წ. გადაცილებულნი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უშგული. | 526 | 284 | 242 | 117 | 28 | 69 | 28 | 101 | 50 | 8 | 16 |
| კალა. | 425 | 236 | 189 | 83 | 14 | 79 | 13 | 96 | 48 | 9 | 9 |
| იფარი. | 1027 | 568 | 459 | 223 | 30 | 157 | 44 | 245 | 83 | 15 | 17 |
| მულახი. | 1303 | 702 | 601 | 259 | 60 | 185 | 97 | 307 | 98 | 23 | 38 |
| მესტია. | 860 | 467 | 493 | 157 | 20 | 161 | 55 | 228 | 61 | 34 | 21 |
| ლენჯერი. | 669 | 351 | 318 | 151 | 21 | 122 | 24 | 136 | 43 | 17 | 21 |
| ლატალი. | 994 | 504 | 490 | 201 | 35 | 189 | 65 | 220 | 63 | 12 | 20 |
| ბეჩო. | 704 | 341 | 383 | 123 | 29 | 135 | 46 | 163 | 65 | 14 | 20 |
| ეცერი. | 1365 | 750 | 415 | 269 | 66 | 222 | 58 | 334 | 118 | 22 | 29 |
| ფარი. | 664 | 350 | 314 | 113 | 28 | 133 | 40 | 154 | 57 | 5 | 26 |
| ჩუბეხევი. | 996 | 516 | 480 | 182 | 38 | 189 | 71 | 294 | 92 | 14 | 18 |
| სრულიად საბოქაულოში | 9533 | 5099 | 4334 | 1878 | 369 | 1641 | 546 | 2208 | 778 | 173 | 235 |

მაშასადამე, 1886 წელს მამრობითი სქესი სჭარბობდა დედრობითისას 665 სულით. წინა წლებში რა იქნებოდა, ადვილად წარმოსადგენია. სჩანს, ყველა ვაჟკაცს რომ ცოლის მოყვანა მოესურვებინა, სვანეთში ვეღარ იშოვნიდა საცოლეს და სხვა ქვეყნებიდგან უნდა მოეყვანა, ან

და 25 იც წევრი-გულშემატკივარი. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, მთავარს სამმართველოს ტფილისის განყოფილებისათვის 1,000 მან. უსესხებია, რომ მდ. მტკვრისაგან წალებულ საბანაოს ნაცვლად ახალი იქმნას გაკეთებული, სადაც მსურველნი ბანაობას შეისწავლიან. საანგარიშო, ე. ი. 1899 წლ. განმავლობაში მდ. მტკვარში დამრჩვალა სულ 11 კაცი და დახრჩობისაგან გადაურჩენიათ 32 კაცი.

*** კავკასიის დრაგუნთა რაზმები, 43 ტვერისა, 44 ნიჟეგოროდისა და 45 სევერსკისა ამ წელს საავარაკოდ დუღოფლის [?] წყაროში წავლენ.

*** საგენერალო შტაბის ნიკოლოოზის სამხედრო აკადემიაში წასვლა ამ წელს 32 აფიცერს განუზრახავს. საოლქო შტაბთან შემდგარმა საგანგებო კომისსიამ უკვე დაიწყო გამოცდა ამ ოფიცრებისა.

*** სადგურ ჯუმათსა და ლანჩხუთს შუა მე-34 ვერსზედ 29 აპრილს სახალხო მატარებელმა გასრისა გლეხი ნიკო მარგალიტაძე.

*** რკინის გზის სადგურ გომში 30 აპრილს საქონლის მატარებელის ქვეშ მოჰყვა გლეხი სიმონა ხუციშვილი და მარჯვენა ფეხის თითები წააგლიჯა.

*** გზათა სამინისტროს საჭიროდ უცვნია რკინის გზის სახალხო მატარებლებში უთუოდ ბუფეტები იქმნას გამართული.

*** 1-ლ მაისში ტფილისიდგან ქუთაისს წავიდა მთელი დასი სამხედრო ტოპოგრაფებისა. დასის უფროსად პოლკოვნიკი ვინნიკოვია დანიშნული.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებულთან მყოფი აგრონომი ა. ფირალოვი პარიზის მსოფლიო გამოფენაზედ იქმნა გაგზავნილი, რომ ამ გამოფენაზედ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების რწმუნებულად იყოს.

*** როგორც ხმა დადის, ტფილისიდგან ბაქო-მოსკოვამდე რკინის გზის მატარებლების პირდაპირ მიმოსვლის გარდაწყვეტა ამ მიმდინარე წლის [?]მოდგომამდე გადაუდვიათ.

*** როგორც გაზ. „კავკ.“-ი სწერს, ვ. ა. გერცენშტეინს განუზრახავს დაიწყოს რუსულს ენაზედ გამოცემა ეგრედ წოდებულ „Кавказская библіотека“-სი. გამოცემაში დაიბეჭდება ქართველ და სომეხ მწერალთა საუკეთესო ბელეტრისტული და პოეტური ნაწარმოებნი. გამოცემა სხვა-და-სხვა დროს გამოვა და შეიცავს 1-დგან $1^1/_2$ თაბახამდე, რომელშიაც შეძლებისა დაგვარად მოქცეული იქნება თითო სრულიად დამთავრებული ნაწარმოები მაინც ავტორის სურათითა და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნით. ქართველ მწერალთა ნაწარმოების არჩევა და მათი რუსულ თარგმანის რედაქცია ბ-ნს გ. თ. ყიფშიძეს უკისრნია. თითოეული წიგნი 15-დგან 20 კაპ. ეღირება. პირველი წიგნი მიმდინარე წლის სექტემბრამდე გამოვა.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ჩრდილო კავკასიაში საეროზო დაწესებულებათა შემოღების პროექტს ამ თიბათვის დამდეგს თურმე განიხილავენ.

*** ამ დღეებში ვწერდით, რომ ბარასკეგს, 28 აპრილს, ვერის ხიდიდგან უცაბედად გადავარდა წყალში ვიღაც 10—12 წლის ქალიშვილი და დაიხრჩო. ეხლა როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ეს ქალიშვილი ყოფილა დედათა 2 გიმნაზიის მოსწავლე ნინო მაჭუტაძისა. დამრჩვალის გვამის მოსაძებნად ღონისძიება არის მიღებული.

*** ს. ტობანიერი (ქუთაისის მაზრა). ამას წინად აქ მოვიდნენ აგრონომი ბ-ნი ტიმოფეევი და ინსტრუქტორი ბ-ნი კაწაძე, რომელთაც დაასრსეს სატ დელი მინდორი და დასთესეს ამერიკული ბამბა. ჩვენში გავრცელებულია წითელა და რამდენიმე სული კიდეც იმსხვერპლა.

*** ს. ბაში (ქუთაისის მაზრა). ღვინის მოსავალი თითქმის გამობრუნდა ჩვენში. დღემდის თუ ბაშელები „ადესის“ ღვინით ისტუმრებდნენ სტუმრებს, ეხლა მშვენიერი „ალადასტურისა“ და „მწვანის“ ღვინით უმასპინძლდებიან.

*** ორშაბათს, 1 მაისს, ღამით, გოლოვინის პროსპექტზედ, მანთაშევის სახლებში მაქს ფრიდის მაღაზიიდგან ვიღაც ბოროტგამზრახველთ მოუპარავთ 600 მანეთის სხვა და სხვა საქონელი, ვერცხლის საპაპიროსე, ღირებული 20 მანეთად და ფულად 20 მან., სულ 640 მან. როგორც შევიტყეთ, ქურდობის ჩადენაში ეჭვი მიუტანიათ მაქს ფრიდის მოსამსახურე ნუხის მცხოვრებ ისააკ მხითაროვზედ, რომელსაც მაღაზიის დაკეტვის შემდეგ მოუპარავს მაღაზიის გასაღები. მხითაროვი პოლიციას უკვე დაუპატიმრებია. ქურდების მოსაძებნად და ნივთების აღმოსაჩენად ყოველივე ღონისძიებაა ნახმარი.

*** პოლიციის მერვე ნაწილის დათვალიერების დროს ტფილისის პოლიცმეისტერს შეუნიშნავს, რომ ამ ნაწილში არავინ არ ასრულებს პირნათლად თავისს მოვალეობასა, რომ კვირა-უქმე დღეებში დუქნები ღიაა, პოლიციის ქალაქის მცველნი და თითონ ბოქაულიც არასოდეს თავისს ადგილას არ არიან. ყველგან ტალახი და ნაგავია და სხ. და ამის გამო წინადადება მიუცია ბოქაულისათვის, რომ მისს ნაწილში ყოველივე ღონისძიება იქმნას მიღებული და ეს უწესოება მოისპოს. ამასთანავე ბოქაულს გოტჩინს და პოლიციის ნაწილის მეთვალყურეთ ოსიფოვს, მახვილაძეს, ბაიაგოვსა და მიხაილოვს საყვედურს უცხადებს, ხოლო ქალაქის მცველთ თითო მანეთ ჯარიმას აწერს და აფრთხილებს, თუ კვლავ შენიშნულ იქმნებით, დაბალს ადგილზედ გადაგიყვანთო. ამ უწესოებისა და დაზარმაცების გამო პოლიცმეისტერს პოლიციის ნაწილის მეთვალყურენი ოსიფოვი, ბაიაგოვი და მახვილაძე პოლიციის სხვა ნაწილებში გადაუყვანია, პირველი მათგანი მე-IX, მეორე მე-II, ხოლო მესამე მე-V ნაწილში და ამ ნაწილების ბოქაულებისათვის მიწერილობა გაუგზავნია აღნიშნულ მოხელეებზედ სასტიკი ყურადღება იქონიეთ და ნურავითარ გულ-გრილობას სამსახურში ნუ აპატიებთო.

## ქალაქის საბჭო.

1 მაისი.

კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. 17 აპრილს ბ-ნს გუბერნატორს მოუწერია ქალაქის მოურავისათვის, რომ მიუხედავად იმისა, რომ დასაკლავს საქონელს ამ ჟამად ბლომად ერეკებიან ტფილისში, რის შესახებ საბუთები მაქვს ხელთ, და ხორცი უნდა გაიაფებულიყო, ყასბები დაწესებულ ნიხრზე უფრო ძვირად ჰყიდიან ხორცსაო. ამის გამო გთხოვ მიიღოთ ღონისძიება, რათა ყასბები ნიხრს არ არღვევდნენ და ახალი ნიხრი გააწესოთო. საშინჯ საქონლის დაკვლას აღმოუჩენია, რომ გაიაფების ნაცვლად უნდა გაეძვირებინათ ხორცი რამდენიმე კაპეიკით. 29 აპრილს კიდევ უყიდნიათ და დაუკლავთ საშინჯი საქონელი და იმ დასკვნამდის მისულა გამგეობა და ნიხრის გამწესებელი კომისია, რომ გირვანქა ძროხის ხორცზე უნდა დაწესდეს 11 კაპ. ნაცვლად 10 კაპეიკისა, კამბეჩისაზე—9 კაპ. ნაცვლად 5 კაპეიკისა და ცხვრისაზე—10 კაპ. ნაცვლად 11 კაპეიკისა. გამგეობის აზრით, ხორცის გაძვირება გამოიწვია დასაკლავი საქონლის სიცოტავემ ტფილისში, ხოლო ნიხრის გამწესებელ კომისიის წევრს—ბ-ნ ქალანთარს ეს გარემოება იმით აუხსნია, რომ ბალახი ამოვიდა, სოფლად საქონლის საკვები აღარ უჭირთ გლეხებს და ამის გამო საქონელს აღარ ჰყიდიან.

ხმ. თაიროვი. ხორცის გაიაფება მანამ არ შეიძლება, სანამ ქალაქი თითონ არ გამართავს საკუთარს ხორცის დუქნებს. ამიტომ საჭიროა გამგეობამ დააჩქაროს ამ საგნის შესახებ პროექტის შემუშავება და წარმოუდგინოს საბჭოს.

გამგ. წევ. თავ. არღუთინსკი. ხორცს მარტო ის კი არ გააიაფებს, რომ ჩვენი საკუთარი დუქნები გავმართოთ, არამედ ის, რომ საკუთარი საკლავი საქონელიც ვიყოლიოთ, იქ ნასყიდი, სადაც საქონელი იაფია. თუ ასე არ მოვიქცევით, საქმეს არა ეშველება რა, რადგან საქონლის სიძვირე-სიიაფეზეა დამოკიდებული ხორცის გაიაფებაც, ხოლო თუ აქ ვიყიდეთ საქონელი, უთუოდ ძვირად დაგვიჯდება და, მაშასადამე, იძულებული ვიქნებით ხორციც ძვირად გავჰყიდოთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ საკუთარი საკლავი საქონელი რომ იყოლიოს ქალაქმა, ამისათვის 50—60 ათასი მანეთია საჭირო, და როგორც მოგეხსენებათ, ამოდენა ფულის გადადება ძნელია.

ხმ. კ. მ. ალიხანოვი. გუბერნატორის მიერ გამოგზავნილ მოწერილობაში ნათქვამია, რომ, როგორც ცნობები მაქვს ხელთ, დიდძალს საქონელს ერეკებიან ტფილისში და ხორცი უნდა გაიაფდესო; გამგეობა-კი გვარწმუნებს, საკლავი საქონელი ცოტაა და ამის გამო ხორცი უნდა გავაძვიროთო. ან ერთი უნდა იყვეს მართალი და ან მეორე; ამისათვის საჭიროა გამგეობამ შეჰკრიბოს ცნობები ქალაქის მოურავი. გთხოვთ დაამტკიცოთ გამგეობის მიერ წარმოდგენილი ნიხრი და როცა თქვენს განაჩენს წაიღებ გუბერნატორთან დასამტკიცებლად, მაშინ გავიგებ, რა ცნობაც აქვს მას ხელთ. თუ მართალი აქვს ასეთი ცნობები, თქვენს განაჩენს არ დაამტკიცებს და გამგეობა იმ შემთხვევაში ახალს მოხსენებას წარმოუდგენს საბჭოს, თუ ჩვენი დადგენილება კანონიერად სცნო, დაამტკიცებს.

საბჭომ ხმის უმეტესობით არ შეიწყნარა ახალი ნიხრი და, ხმ. ალიხანოვის წინადადების თანახმად, გამგეობას დაავალა ჯერ-ჯერობით გაიგოს ბ-ნ გუბერნატორისაგან ის ცნობები, რომელიც მას ხელთ აქვს.

შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება სულით ავადმყოფთა თავშესაფარში კრაოტების მომატების შესახებ, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანახმად. ხსენებულ თავშესაფარში ამ ჟამად 40 კრაოტი ყოფილა. სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს შესაძლოდ უცვნია კიდევ 5 კრაოტის დადგმა. გამგეობას დაუდგენია გადაიდოს ამ საქმისათვის ამ თავად 360 მან., მიმდინარე წლის დამლევამდის 451 მ. და მომავალი წლიდან ყოველ წლობით 300 მან.—საბჭომ შეიწყნარა ეს წინადადება და ამასთანავე დაავალა გამგეობას წარმოუდგინოს მას თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რამდენი კრაოტის მომატება შეიძლება კიდევ ხსენებულ თავშესაფარში.

დასასრულ განხილულ იქმნა გამგეობის კასირად ნამყოფის—ტერ-მიქელოვის თხოვნა პენსიის დანიშვნის შესახებ და გამგეობის დადგენილება ამ თხოვნის გამო. ბ-ნს ტერ-მიქელოვს 17 წელიწადი უმსახურნია გამგებაში და 1898 წელს სამსახურისათვის თავი დაუნებებია, 1899 წელს გამგეობაში მკურნალის მოწმობა წარუდგენია, რომელიც ამოწმებს, რომ ტერ-მიქელოვი დასნეულებული არისო, და უთხოვნია პენსია დამინიშნეთო. გამგეობას სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისათვის დაუვალებია ტერ-მიქელოვის გასინჯვა და იმასაც დაუმოწმებია, რომ ის სნეული არისო. შემდეგ

ქვრივებისათვის მოეკიდნა ხელი. მაგრამ მოგეხსენებათ, სვანი სხვა ქვეყნიდგან ქალს ძვირად თუ მოიყვანს და ქვრივების უმეტესი ნაწილი ხელმეორედ გათხოვებას ძვირად ნდომულობს. მაშ ნუ თუ უცოლოდ უნდა დარჩენილიყო ამდენი კაცი? მართლაც, ბევრი მათგანი ძალაუნებურად რჩებოდა უცოლოდ, რომლის სინამდვილესაც გვარწმუნებს ზემო ხსენებული ნუსხა. აი აქედგან იწყება სათავე იმ მოვლენისა, რომელიც ჩვენი საუბრის საგანს შეადგენს, სათავე, რომელსაც გზაზედ კიდევ ბევრი შტოები ემატებოდა და ძლიერდებოდა. მაშ სად უნდა ეძებნა საცოლე სვანს? არსად სხვაგან, ისევ თავისის მეზობლისათვის უნდა მიემართა და ძალით თუ ნებით მოეტაცა მისი კანონიერი ცოლი და თუ რაიმე ცუდი ახსოვდა მისის მეზობლისაგან ძველადვე (აქ, რასაკვირველია, სისხლის აღების სიძლიერე ჰმუშაობდა), იმ შემთხვევაში ხომ წარბსაც არ შეიხრიდა და განზრახვას იმ წამსვე სისრულეში მოიყვანდა, თუნდაც მთელი სიცოცხლე გადაეგო ზედ. ორი მიზეზი—ერთი ცოლის შოვნის სურვილი, მეორე ძველის საქმის გახსენება და სამაგიეროს გარდახდა—ერთად შეერთებული ცეცხლის ალსავით აენთებოდა სვანს გულში და შეუძლებელს აბედვინებდა, არამც თუ შესაძლებელს.

ამა არა-სასურველს ჩვეულებას—ქალების მოტაცება-მითვისებასთან ერთი გარემოებაც უმართავდა ხელს და ძირს უმაგრებდა. წინად სვანებს ჩვეულებად ჰქონდათ აკვანში ბავშვების დანიშვნა.*) ახლად დაბადებულს ქალზედ დანიშნავდნენ ახლადვე დაბადებულ ვაჟს, ან უკვე მოზრდილს, დიდის ამბითა და ხარჯის გაწევით. ამ შემთხვევაში საქმე შეძლებისაგან იყო დამოკიდებული. (ჩვენ ეჭვს გარეშე მიგვაჩნია, რომ ეს ჩვეულება ცოტად თუ ბევრად, ხელს უშლიდა მდედრობითი სქესის ხოცვა-გადაშენებას).

ამ გვარად, ყველა მდედრი დაბადებისთანავე ინიშნებოდა, მაგრამ მათი რიცხვი მამრობითს სქესს ვერ უდრიდა და ამის გამო ბევრი მამაკაცთაგანი დაუნიშნავი რჩებოდა. ბევრს კიდეც რომ სდომოდა, შეძლება ნებას არ აძლევდა გასძლოლოდა ხარჯს. დანიშნულები წამოიზრდებოდნენ თუ არა, ამოიდგამდნენ ენას თუ არა, იმთავითვე სცნობდნენ ერთმანეთს, როგორც დანიშნულები და მომავალნი ცოლ-ქმარნი. მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანი რაც იზრდება, თან და თან სხვა აზრებს იძენს, სხვა შეხედულობას ითვისებს ამა თუ იმ საგნის შესახებ. ჩვენი დანიშნულებიც არ იყვნენ ჩამოშორებულნი ამ კანონს; მათში ან ერთს აუცრუვდებოდა გული მეორეზედ და სხვა შეუყვარდებოდა, ან მეორეს. ზოგი მათთაგანი-კი ულაზათო, უშნო, ხან დახან მთლად უვარგისი გამოდგებოდა ხოლმე და, რასაკვირველია, მისი დანიშნული, რომელიც იმაზედ უკეთესი იყო, დაიწუნებდა და სხვას დაუწყებდა ძებნას. მაგრამ დანიშნულისთვის რა უნდა ექმნა, ან მშობლებისათვის რა ეთქვა? ის ჰხედავდა, რომ ასე ადვილი არ იყო დანიშნულის მიტოვება. მაშინ უნდა აღედგინა მას ყოველი ნახარჯი ერთი ხუთად თავისის სარგებლით და ეს ხომ ძნელი საქმე იყო. გარდა ამისა დატოვებულის ნათესაობა ხომ საუკუნოდ მისი მოსისხლე მტერი შეიქნებოდა; ანუ როგორ უნდა მიეყენებინა უსიამოვნება თავის მშობლებისათვის, როგორ უნდა ჰყოლოდა ისინი მუდამ შიშს ქვეშ? შვილო შეირთე; ეგები შეგიყვარდეს და აღარ გძულდეს ასე, და თუ მაინცა და მაინც არც მაშინ შეგიყვარდება, მერე სხვა ღონეს ვიხმართ: არც ქალი დაილევა და არც ვაჟი! თორემ ხომ იცი, შვილო, ისინი დიდი თემია, როდის მომკლავენ არ ვიცით და რათა შვრები ამას? სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო „ასაბია“ რათა ღირს!—ეუბნებოდნენ მშობლები თავიანთ შვილებს. ამ სიტყვებით დარბილებული შვილი (ვაჟი იქმნებოდა თუ ქალი) ძალა უნებურად სთანხმდებოდა ჯვრის წერაზედ. მაგრამ ჯვარის წერა ხომ სიყვარულს ძალათ ვერ ჩაუნერგავდა ვისმეს.

—

სიძულილი თან-და-თან ძლიერდებოდა, თორემ არა ნელდებოდა. თუ ქმარსა სძულდა ცოლი, იმდენს ეცდებოდა, რომ აიძულებდა დაეტოვებინა ოჯახი და მშობლებთან წასულიყო, თითონ-კი სხვას აირჩევდა (თუნდაც ქმრიანს) და ან ნებით, ან ძალით მოიყვანდა. გაგდებული ცოლიც არა რჩებოდა ხელ-ცარიელი: პირველსავე შემთხვევაში მზად იყო გაჰყოლოდა სხვას და ასეც სჩადიოდა. ცოლს თუ სძულდა ქმარი, იმდენად შეაწუხებდა, რომ მის იქ ყოფნას უმყოფობას არჩევდა; ქალიც პირველსავე შემთხვევაში მზად იყო დაეტოვებინა ქმარი და სხვას გაჰყოლოდა. არც დატოვებული ქმარი რჩებოდა ცალიერი და იმასაც მოჰყავდა სხვა ქალი. ცოლ-ქმართა შორის სიძულილს უფრო უცოლონი აძლიერებდნენ. ისინი სარგებლობდნენ ამ გარემოებით და თუ ეხლა არ იშოვნიდნენ საცოლეს, შემდეგში ხომ სულ უცოლოდ დარჩებოდნენ, ან საიდგან მოიყვანდნენ, როცა არსად იყო დაუნიშნავი და გაუთხოვარი. აქ არ მოვიხსენიებთ არც

*) ეს ჩვეულება თუმცა-და ამ ბოლოს ხანს ძლიერ შემცირდა, მაგრამ ზოგან კიდევ მისდევენ.

გამგეობას დაუდგენია, რომ ტერ-მიქელოვს წლიურად 600 მან. დაენიშნოს პენსიადო. ეს დადგენილება საფინანსო კომისიასაც მოუწონებია.

ხმოსნებმა კ. მ. ალიხანოვმა და ლუნკევიჩმა განაცხადეს, რომ წინაალმდეგნი ვართ სამუდამო პენსიისა და ერთბაშათ მივცეთ, რამდენიც იყვესო.—საბჭოს უმრავლესობამ კენჭის ყრით დაადგინა 400 მან. დაენიშნოს პენსიად ტერ-მიქელოვსაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**მეჯვრისხევი** (გორის მაზრა). ამ სოფელში ეს მეექვსე წელიწადია არსებობს სახალხო სამკითხველო, რომელიც დაარსდა დიდად პატივცემულის კნეინა ეკატერინე გიორგის ასულის ერისთავის მეცადინეობით. თვითვე კნეინა იყო გამგედ და გულმხურვალედ ზრუნავდა სამკითხველოს წარმატებისათვის. გარდა იმისა, რომ თავისს საკუთრებას არა ჰზოგავდა ამ საქმისათვის, ამასთანავე წარმოადგენდა ჰმართავდა და კრებდაც აგროვებდა ფულს, უმეტეს ნაწილად თავისს ნათესავთა და ნაცნობთა შორის. ჩვენდა სამწუხაროთ, კნეინა ეკატერინე საკუთარის საქმეთა გამო დიდის ხნით გარდასახლდა იმერეთს და ამის გამო იძულებული შეიქმნა დაენებებინა თავი სამკითხველოს გამგებლობისათვის. არ გასულა მას შემდეგ რამდენიმე თვე, რომ ჩვენს სამკითხველოს შესამჩნევად დაეტყო დაქვეითება. მიზეზი ამისა უფულობაა და უფროკე ის, რომ შეუძლებელი შეიქმნა მისის უწინდელ მზრუნველის ბადალის შოვნა. ამას წინათ შეიკრიბნენ სამკითხველოს დამფუძნებელნი, რომელთაც ამოირჩიეს გამგეთ მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე და ამასთანავე დაადგინეს: გამოეცხადოს კნეინა ეკატერინე ერისთავისას საზოგადოების უგულითადესი მადლობა დიდის ხნის ნაყოფიერად შრომისათვის სამკითხველოს სასარგებლოდ. მამა ნიკოლოზმაც გულმხურვალედ მოჰკიდა შრომას ხელი; თითონ სანაქებო საკუთარი წიგნთ-საცავი აქვს, შემძლებული მღდელიცაა ბრძანდება და სრული იმედი გვაქვს, რომ სამკითხველოს საქმე კვლავ კარგად წავა. მაგრამ მარტო მამა ნიკოლოზი რას გააწყობს, თუ სხვებიც არ შევეწევით ფულით და საქმით.

მეჯუდელი

## გ ა კ ვ რ ი თ.

—

წრევანდელის „ივერიის“ მე-85 №-ში ბ-ნი ანტონ ფურცელაძე თავისს ფელეტონში („საგულისხმარო წიგნი“) ჰბრძანებს, მეცნიერებასა და მისტიციზმზედ „ერთხანად ასტყდა გამათი ჩვენს მწერლობაში კიტა აბაშიძისა და მახარაძის შორისო“ და შემდეგის სიტყვებიდგან სჩანს, გითომ მე მისტიციზმს ვიცავდი. არ გამოვედგები ბ-ნს ფურცელაძეს იმის შესახებ, თუ რას ვიცავდი მე, ჰნებავს მისტიციზმის მომდევარი დამარქვას და ნებავს—სპირიტიზმისა. ბ-ნ ან. ფურცელაძის პოლემიკამ ჩემთან დამარწმუნა, რომ მას ჩემის ნაწერების გაგება თავისებურადა ჰსურს და ღმერთმა ხელი მოუმართოს.

მე მხოლოდ მსურს სიმართლე აღვადგინო და იმის წინააღმდეგი განვაცხადო, რომ მე ბ-ნ მახარაძესთან არავითარი პოლემიკა არა მქონია, ისე როგორც „კვალის“ არც ერთ თანამშრომელთან, და არც მექნება იმ მიზეზების გამო, რომლებიც ჩამოთვლილი მაქვს 1899 წლის „ივერიის“ მე-62 №-ში. პოლემიკა შესაძლოა მხოლოდ რიგიან მოწინააღმდეგესთან, მისი ფარ-ხმალი სიმართლისა და ჭეშმარიტების მოყვარეობა უნდა იყოს და არა ჭორები და ინტრიგები. ჭორის წინააღმდეგ ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია და უთუოდ ამიტომაც არის, რომ „კვალის“ პოლემისტები ამ უმღვრველ იარაღს ხელიდგან არ უშვებენ. ამიტომაც გულით ვწუხვარ, რომ ბ-ნ ახალ-მოსულს „კვალისტებთან“ პოლემიკისათვის მოუცლია. „კვალისტების“ პოლემიკამ ბ-ნთ მაიაშვილთან, ფხაკთან, ლალთან, გ. წ.—თან და ბ. კართაგავასთან კარგად გვამცნო, თუ რა სერჩიანი კაჟბატონები ბრძანდებიან და როცა კუდი მოუწვით, რა ბინძურ საშუალებას მიმართავენ ხოლმე. შორს რად წავიდეთ, „კვალის“ უკანასკნელი ნომერი (№ 17) აიღეთ და ნახეთ იმათი მანიფესტები „ახალ-მოსულის“ წინააღმდეგ, „ნიღაბი აიხადეთ, ნიღაბი აიხადეთ“, უყვირენ აქეთ-იქით „ახალ-მოსულს“ განსვენებულ გ. წერეთლისგან მოწოდებული „დეკვები“ *). რად დასჭირდათ ნეტავ ეს ნიღაბის ახდა? რასაკვირველია იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ხერხს-ჭორიკანობას მიჰყონ ხელი და განაცხადონ, მაგისთანა კაცთან დიოს ლაპარაკი, მაგან ეს-და-ეს კაცი გასძარცვა, ამას ცოლი წაართვა, ამას შვილი მოუწამლა, ამას ჯიბიდგან ფული ამოაცალა და სხვა და სხვა. ამისი, რასაკვირველია, ბ-ნ „ახალ-მოსულს“ არ შეეშინდება, მაგრამ ერთი ავიწყდებათ „კვალის“ სულის ჩამდგმელთ, ეს ის, რომ ტალახში სიარულის დროს კალოშები გვჭირია და მაგათთანა მოდავესთან ნიღაბი ერთგვარი კალოშია: როგორ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ყველას არა ჰსურს თავისი სახელი და გვარი გააჩირქიანოს და მაგათ სახსენებლადა და სათრევლად გახადოს.

უოველთვე ეს იმიტომა ვსთქვი, რომ ზოგიერთ ჩემ ლიტერატურულ მეგობართაგან (მეცა მყავს მეგობრები, თუმცა არა ას ერთი მანიფესტანტი კირკალიძის სკოლისა) საყვედური მესმის, რატომ არ გასცემ პასუხს ბ-ნ ნ. ყორდანიას „პრესსას“? იმავე მიზეზებით, რომლებიც, ვიმეორებ, 1899 წლის „ივერიის“ მე-62 №-ში მქონდა დასახელებული და ვისაც რისამე გაგება სურს და ცოტად მაინც უდევნებია თვალ-ყური ჩვენის წარსულის ჟურნალ-გაზეთობისათვის, თვით ამ „პრესსიდგან“ დაინახავს, რა სანდობი და რიგიანი პოლემისტი ბრძანდება ბ-ნი ყორდანია.

კიტა აბაშიძე

## რუსეთი

—

შარშან, როგორც უთუოდ მკითხველებს ეხსომებათ, სტატს-სეკრეტარის დურნოვოს თავმჯდომარეობით, მოლაპარაკება ჰქონდათ თავად-აზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. სხვა მოხსენებათა შორის წაკითხულ იქმნა ტულის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არსენიევის მოხსენებაც თავად-აზნართა შვილების აღზრდის შესახებ. არსენიევი თავისს მოხსენებაში ამბობდა, რომ საჭიროა თავად-აზნაურთა შვილებისათვის დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სასწავლებლები. ამ სასწავლებლების კურსი ისეთი უნდა იყოს, რომ იქ სწავლა-დამთავრებულთ შეეძლოთ იუნკრის სასწავლებლებში შესვლა. ეს საგანი მოლაპარაკების შემდეგ სამხედრო სამინისტროს გადაეცა განსახილველად. სამინისტროს თუმცა საჭიროდ დაუნახავს ასეთის სასწავლებლების დაარსება, მაგრამ ამასთან უცვნია, რომ კურსი სწავლისა ოთხის წლის ნაცვლად ხუთი წელიწადი უნდა იყოსო. ამ სასწავლებლებში, სამინისტროს აზრით, უეჭველად უცხო ენებიც უნდა ასწავლონ. აზრადა აქვთ აგრეთვე ამ გვარი სასწავლებლები ქალაქებში-კი არა, სოფლებში გამართონ; თვითეულში 120 მოსწავლე იქმნება. ამ საგნის საბოლოოდ განსახილველად და გადასაწყვეტად შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებადაც არიან წარმომადგენელნი სამხედრო, ფინანსთა, საერო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა.

— საერო განათლების სამინისტრომ ცირკულიარით აცნობა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ დაავალონ სასწავლებლების უფროსებს თავიანთ სასწავლებლებში სახელმძღვანელოებათ ის წიგნები იხმარონ ხოლმე, რომელიც სამინისტროსა და სასულიერო უწყებისაგან არის მოწონებული.

## დამაკვირდი

მარტო სხვისის თვალით შეუძლიან ადამიანს თავისი ნაკლულოვანება დაინახოს.

ჩინური ანდაზა.

***

ნათესავი—ნაწილია ჩვენის ხორცისა, მეგობარი—ნაწილია ჩვენის სულისა.

ფრანგული ანდაზა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ წელს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს სამსახურის ვადა უთავდება. ამერიკელებიც გაცხარებული ემზადებიან ახალის არჩევნებისათვის და ყველა თავისს კანდიდატს ასახელებს მომავალ პრეზიდენტად. მაგრამ ამერიკელები რა ამერიკელები იქნებიან, რომ უცნაური რამ არ გამოატყვრინონ და დიდ ოკეანეს აქეთა ხმელეთის განათლებულნი ერნიც-კი არ გააკვირონ ამ თავისის უცნაურობით. პრეზიდენტის კანდიდატებად ასახელებენ, მაგალითად, ბრაინს, დევეისა და უკვე წინად პრეზიდენტად ნამყოფს კლიველენდს. ეს უკანასკნელი ბრაინის იდეების წინააღმდეგია და ამ მოკლე ხანში ამ აზრით წერილითაც-კი მიჰმართა თავისს მომხრე დასს. მაგრამ საქმე ამაში როდია. უკვე ცნობილ დასების გარდა, მაგალითად, რესპუბლიკელთა, დემოკრატთა და სახალხო დასისა, ამ ბოლოს დროს სრულიად ახალი და თავისებური დასი შემდგარა, რომელსაც სახელად „ერთი ქრისტიანეთა დასი“ ეწოდება. ამ დასის წარმომადგენლები ამ წინაზედ ნაციონალურს კონვენტში (საერო საკრებულოში) შეიკრიბნენ თურმე და პრეზიდენტის კანდიდატად ამოირჩიეს პასტორი სველლაუ პენსილვანიის შტატიდგან, ხოლო ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად ჩიკაგოელი ჯონ უელი.

ამ ახალის დასის პროგრამმას სრული სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს. დასის წარმომადგენელთა აზრით, ერის ყოფა-ცხოვრებას მხოლოდ საღმრთო კანონი უნდა განაგებდეს და ყოველგვარს სახელმწიფო მოქმედებასა და ღონისძიებას დაბადება უნდა ედოს საფუძვლოდ. ახალი დასი ომს სრულიად უარ-ჰყოფს, ჰკიცხავს კვირა-უქმის დარღვევას, ესარჩლება მედიატორეთა სამართალს და სასმელების ხმარების ძირითადად წინააღმდეგია.

ამ საერთო მზადებისა და საარჩევნო ციებ-ცხელების გამო, როდესაც ეკკლესიის წარმომადგენელთაც-კი კანდიდატი გამოჰყავთ, ამ დღეებში მარკ ტვენის პატივსაცემლად ლონდონში გამართულს ბანკეტზედ ამ უკანასკნელმა აი რა სთქვა:

„ყველა იმათ, ვინც დღემდის თავისი კანდიდატობის სურვილი განაცხადა, თავისს თავად გზა გადილობეს, თავისს ურიცხვ პრინციპებით ხალხს თავბრუ დაჰხვიეს. ახლა მეც ვაპირებ ამერიკაში წასვლას, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ ამ საერთო ფერხულში ჩავერიო, არა: აზრად მაქვს საპოლიტიკო ბურუსი გავფანტო, გამოვადარო.

ნება მომეცით, მოწყალენო ხელმწიფენო, მოგახსენოთ, თუ რა არის ნაკლი დღევანდელის ადამიანისა: მეტი არასფერი, ბატონებო, გარდა იმისა, რომ თითონვე იკრავს ხელ-ფეხსა და სამოქმედო ასპარეზს ვიწროდ იფარგლავს. მე მსურს ამ სამწუხარო გარემოებას დავხსნა ხალხი და მაგალითიც ვუჩვენო, თუ რა რიგ შეიძლება ეს. მე მსურს დავაკმაყოფილო მარტო ერთი ნახევარი-კი არა ერისა, არამედ მთელი ერი.

მე თანავუგრძნობ ყოველივე იმას, რაცკი ჩემს თანამემამულეებს ჰსურს, რაც იმათ

---

იმ ხარჯს, რომელიც მოსდევდა ამ მოვლენს, არც იმ უბედურებას, რომელიც ამისი შედეგი იყო; მხოლოდ ვიტყვით, რომ ამ ჩვეულებამ ძირიან-ფესვიანად მოიკიდა ფეხი სვანებში და თითქმის კანონად გარდაიქცა. ხომ მოგეხსენებათ, „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესია“ და სვანებსაც ასე მოუვიდათ. ეს მოტაცება, მიტოვება, თავნებლობა, ფარფაში ისე გახშირდა, ისე გაუჯდა ძვალ-რბილში ყველას, რომ უამისოდ თითქმის არც-კი გხერხებოდათ ცხოვრება. დრომ მოიტანა და ასეც უნდა ყოფილიყო, ასე უნდა მომხდარიყო და ვერც შეაჩერებდა მას ვერავითარი ძალა, ვიდრე თავისს გზას არ გაივლიდა. ამიტომაც იყო, რომ იმ დროს მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებამ თითქმის უქმად ჩაიარა.

უზნეობას ჩვენ ვერ ჩავთვლით ამის მიზეზათ. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სვანეთში, როგორადაც სხვა მთელ ხალხში, ზნეობა არ იყო დაცემული და თუ ეხლა რამოდენადმე დაეცა, ეს იმითი აიხსნება, რომ სვანეთში შევიდნენ ვაჭრები და სხვანი გაქალაქებულნი და თან თავიანთი სენიც შეიტანეს.

დიახ, უკანონოდ შეთვისებულნი თანდათან გამრავლდნენ სვანეთში და შეეძინათ უკანონო შვილები, რომელთა რიცხვი აქ დიდია. აი ამ ჩვეულების მოსასპობად და გამოსარკვევად შესდგა კომისია, რომელიც შეუდგება მუშაობას ამ გაზაფხულზედ. კომისია ვალდებულია ღრმად ჩაუკვირდეს ამ გარემოებას, ასწონ-დასწონოს იგი და შემდეგ დაადგეს ამა თუ იმ დასკვნას, მიჰყოს ხელი ამა თუ იმ საშუალებას. ჩვენ თვალ-წინ არის ხალხში ღრმად გამჯდარი ჩვეულება, რომლის მოსპობა ერთბაშად შეუძლებელია და საშიშიც. ვერავითარს სამსახურს ვერ გაუწევს ამ საქმეს ის საშუალება, რომელსაც ზოგიერთნი ასახელებენ. ზოგი ამბობს, რომ ენ და ჩამოერთვათ ყველას უკანონოდ შეთვისებულნი და კანონიერნი ერთმანეთს დაუბრუნდნენო; ზოგი იმ აზრისაა, რომ ამ მოკლე დროში, ვინც უკანონოდ შეთვისებულან, განვაშოროთ ერთმანეთსაო. ვერც ერთი და ვერც მეორე საშუალება ვერ გაგვიწევს ნამდვილს სამსახურს. მართლაც, როგორ განვაშოროთ დედა თავისს შვილებს?! ხორციელად თუ განვაშორებთ, სულიერად ხომ ვერ შევსძლებთ მათ განშორებას და აქ ხომ დიდს ცოდვას ავიკიდებთ. სხვა არა იყოს-რა, მშობლების ბრალს შვილებს რად ვდებთ? რისათვის უნდა დავუკარგოთ დედა? მაშ რა-და საშუალებას მივმართოთ, რომ ამ სენს ბოლო მოეღოსო? იტყვით. ჯერ უმთავრესი მიზეზები უნდა ავიცილოთ თავიდგან და მერე ამ ჩვეულებასაც მოეღება ბოლო. ამ მიზეზების აცილება იქნება თვით ჩვეულების მოსპობა, მხოლოდ არა ერთბაშად, არამედ თანდათან. მეორე, ამ გარემოებას ჩვენ ფიცხის თვალით არ უნდა შევხედოთ, ესე იგი, მე მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს ჩვეულება არა-ნორმალურ მოვლენად ჩაითვლება, უნდა შევურიგდეთ და მკაცრი სასჯელი არ დავადოთ.

ჩვენის ფიქრით, ამ ჩვეულების მოსასპობად უნდა ავიცილოთ თავიდგან შემდეგი მიზეზები:

1, ფიცხელი ყურადღება მიექცეს, რომ ამიერიდგან აკვანში არ ინიშნებოდნენ ბავშვები და არც იმ დრომდე, რომელიც დანიშნულია ასაკის დროდ. უნდა დაინიშნენ ხოლმე ჯვარის წერის წინად, ქალ-ვაჟის ნებაყოფლობით.

2, შენიშნულია, რომ ქალსა და კაცს ძალას აყენებენ. ბევრის მითქმა-მოთქმის შემდეგ ვითომ აგონიერებენ და ისე სწერენ ჯვარს. ამ გვარს შემთხვევაში მღვდელი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს და ჯვარი არ დასწეროს. თან იმას უნდა ეცადოს, ორივე მხარეს შუა კმაყოფილება ჩამოაგდოს, ჯვარის წერის დაშლის გარდა.

3, დაევალოთ მღვდლებს აუხსნან მრევლს ჯვარის წერის საიდუმლო მნიშვნელობა საზოგადოდ და ცოლ ქმრობისა კერძოდ. ამას, რასაკვირველია, მხოლოდ იმისთანა მღვდლები შესძლებენ, რომელთაც სვანური იციან, უფრო ბუნებით სვანნი.

4, ცვედნების რიცხვი, როგორც ჩივიან ქალები და ხანდახან თვით კაცებიც ამბობენ, სვანეთში ძლიერ ბევრია. თითქმის უმეტესი ნაწილი იმ ცოლთა, რომელთაც კანონიერი ქმარი მიუტოვებიათ და სხვასთან შეთვისებულან უკანონოდ, მიზეზად ქმრის ცვედნობას ასახელებენ. (კაცები, რომლებიც ცვედნობის უარს ვერ აცხადებენ, ბრალს ცოლებსა სდებენ და ამბობენ: „ცოლმა მოგვწამლაო“). ამის გამო სასურველია მკურნალების შემწეობით გამოირკვეს, თუ რამდენად მართალი იქნება ასეთი ბრალდება.

5, ამიერიდგან სასტიკად აღეკრძალოთ მოტაცება და ამის ჩამდენი ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულ იქმნას ვადით სხვა ქვეყანაში.

6, უკანონოდ შეთვისებულთა შორის ურევიან იმისთანანი, რომელთა განშორებაც აუცილებლად საჭიროა.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სიტყვები თუ ბევრად ვერავის ვერაფრად გამოადგება, სხვებს მაინც გამოიწვევს საბაასოდ და იმათი ორიოდე სიტყვა საქმეს დაეხმარება.

მღვდ. ი. მარგიანი

---

*) ამ სახელით მოუნათლავს განსვენებულ გ. წერეთელს ამ პროგრესიულ დასთა მოციქულები და თუ საჭირო იქმნება, ამის მოწმეებსაც დავასახელებთ. ავტ.

ენატრებათ. ჩემს საარჩევანო „ქოხში“ თავს მოვუყრი ყოველივეს: ლოთობას და სიფ-ხიზლეს, ზნეობას და უზნეობას, ოქროსა და ვერცხლს. ცოტ-ცოტაობით მე ყოველივე მაქვს ცხოვრებაში ნაცადი; მხოლოდ ეს-კი არ მიცდია და აი ეხლა ამასაც ვცდი. მე ვიყავ ჟურნალისტი, გამომცემელი, ვექილი და ყაჩაღი. ყოველივე ეს-კი აუცილებლად საჭიროა, თუ ვისმე არჩევანზედ კანდიდატო-ბა განუცხადებია. აი, ეს არის მხოლოდ ერთად-ერთი მიზეზი, რომ უთუოდ გავი-მარჯვებ და ჩემი რესპუბლიკური და დე-მოკრატიული პროგრამმა ყველას მოეწო-ნება, პრეზიდენტად ამომირჩევენო“.

## ბიბლიოგრაფია

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო ბ-ნის მ. ჯანაშვილის უკანასკნელი გამოცემა „უკვდავთა ლადადებანი“. როგორც თი-თონ სახელიც ჰმოწმობს, ამ პატარა წიგნაკში მრავალ ისტორიულ მასალის ხელთ მქონე ავტორს განუზრახავს მო-აქციოს ნიმუშები უძველეს ქართულ მწერლობისა, ვიდრე მეცხრამეტე საუ-კუნემდე. ამის გამო წიგნაკში განსაკუ-თრებული ადგილი უჭირავს ეგრედ წო-დებულ სასულიერო შინაარსის ნაწერე-ბის ნიმუშებს, მაგალითად სხვა-და-სხვა სასულიერო კაცთა, მეფეთა, სამოქა-ლაქო მოღვაწეთა და პოეტთა ლოცვა-ვედრებათ, პროზად თუ პოეზიად და სხ. და მხოლოდ წიგნაკის ბოლოშია ლასურიძის სამოქალაქო ლიტერატუ-რის ნიმუშები, მაგალ. საგულისხმიერო თქმულებანი და ლექსად დახასიათება დიდებულ მეფის თამარის მეფობისა და მოღვაწეობისა.

როგორც წიგნაკის შინაარსის ამ მოკლედ გადმოცემიდგანა სჩანს, ბ-ნს გამომცემელს თავისი შიგ არა ჩაუქსო-ვებია-რა საიმისო, გარდა იმისა, რომ მოკლე ისტორიულ ბიოგრაფიულს ცნობებს გვაძლევს ნიმუშების ავტორე-ბის შესახებ, რომლებიც თვით ნიმუშე-ბსა აქვს ბოლოში ჩართული. ალბად იმისთვის, რომ ქართულს ისტორიაში მცირედად განსწავლულს წიგნაკის წამ-კითხველს საშუალება მისცეს, თუნდაც ორიოდე სიტყვით, ასე თუ ისე ავტო-რის შესახებ რაიმე წარმოდგენა იქო-ნიოს.

მიუხედავად ამისა, გამომცემლის შრომა მარტო იმისათვის არის პატივ-საცემი, რომ ჯერ ერთი, თუ ვინმე მოისურვებს, საშუალება მისცა ყველას ჩვენის უძველეს მწერლობის ნიმუშები და მათი ხასიათი ადვილად გაეცნო ამ პატარა წიგნაკის გადაკითხვით და მე-ორე აღნიშნა, თუ ამ ნიმუშების თითოეულს ავტორს ჩვენს წარ-სულს ცხოვრებაში რა ღვაწლი მიუ-მღვის, უკვდავის სახელი რითი დაიმ-სახურა. გრძელ და ისტორიულ მასა-ლის ჯერედ შეუმუშავებლობისა გამო მოსაწყენ ლექციების ნაცვლად გამომ-ცემელმა ამ რიგად მსურველთ მოკლე კონსპექტი მისცა ხელთ და დაახასიათა, თუ ძველი ქართული მწერლობა რას წარმოადგენდა. ესეც კარგია.

ორიოდე სიტყვა წიგნაკის გარეგნო-ბის შესახებაც. როგორც ფორმატი ამტ-კიცებს, გამომცემელს აზრად ჰქონია ეს გამოცემა უბის წიგნივით ადვილად თან სატარებელი ყოფილიყო, ან არა-და ქაღალდის ეკონომია მაინც დაეცვა და მით ფასი ნაკლები ჰქონოდა, რასაც მტკიცდება იმითი, რომ წიგნაკის უდი-დესი ნაწილი სულ წვრილი ასოთია ამობეჭდილი. მაშ თუ ეს ჰქონდა აზ-რად, რად დასჭირდა ნეტა, რომ და-სურიძის ლექსი თამარის შესახებ მე-ტად სხვილის ასოთია დაბეჭდილი, როცა წვრილის ასოთი ბევრად შნოიანი გამოვიდოდა და მეორეც, თუნდაც წიგნისათვის შედარებით უკეთესი ქა-ღალდი შეერჩია, მაინც რაც ფასი აქვს დადებული, იმაზედ მეტი არ დაუჯდე-ბოდა.

მაინც წიგნაკი, ჩვენის აზრით, სა-სარგებლოა და ვისურვებთ ჩვენში მკი-თხველი საზოგადოება უყურადღებოდ არ მოეპყრას: ამ ძველის მწერლობის ნიმუშებში ბევრი მეტად საუცხოვო და განვითარებულის ენით არის დაწერილი და ყველასაგან წასაზამია.

წიგნაკი სულ მცირე ფორმატისაა, შეიცავს 280 გვერდს და ღირს 15 კაპ.

ინ-ანი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მაისი

**კრონშტადტი.** ამბობენ, რომ კრიუგერს აზრადა აქვს ლეიდენ-ბურგში წავიდეს იმ წამს, რა წამსაც დაბრუნდება შტეინი, რომელიც გე-ნერალ ბოტასთან ერთად კრონშ-ტადტში წავიდაო.

**ლორენცო-მარკეზი.** საერო კრე-ბამ პრეტორიაში დაადგინა საიდუმ-ლო სხდომაზედ, რომ ტრანსვაალის ყველა მცხოვრებთ, რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდენ, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს დაცვის საქმე-შიო.

**პარიჟი.** არჩევანებმა პროვინციებ-ში მშვიდობიანად ჩაიარა. კონსე-რვატორები ტრუაში იქმნენ არჩე-ულნი; რესპუბლიკანელნი: ნანტსა, ანჟერსა, ანგულემსა, დიჟონსა, რუ-ანსა, არრსა, მომპელიესა და შამ-ბერში; რადიკალ-სოციალისტები: ლიონსა, პერპინიანსა, რეიმსსა და ტურში; სოციალისტები: მარსელსა, სენტეტიენსა, როანსა, ლილსა და რუბეში; ანტისემიტები კიდევ კონ-სტანტინში.

**პიატიგორსკი.** მკურნალობის სე-ზონი დაიწყო.

**ყაზანი.** დაიწყო ეგზამენები გა-მოსაცდელ სახელმწიფო კომისიებში.

**პიტერმარიცბურგი.** ბულლერი იუწყება, რომ განვათავისუფლე მტრისაგან გასავლელები ბიგორსის მთებშიო. დღეს იმედი გვაქვს დუნ-დი დავიჭიროთო.

**კრონშტადტი.** შტეინი გეილ-ბრონში წავიდა. ეს ქალაქი შტეინმა სატახტო ქალაქად გამოაცხადა. 400 ბურგერმა კრონშტადტსა და იმის ახლო-მახლო ადგილებში იარალი აიხსნეს. როგორც ისმის, ტრანსვაა-ლელნი მდინარე ვაალთან იყრიან თავს.

**ბელგრადი.** ტუაშანოვიჩს ხუთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

**პარიჟი.** არჩევანებზედ უმთავრე-სად რესპუბლიკანელებმა გაიმარჯვეს დიდ ქალაქებში—ლილსა, ლიონსა, სენტ-ეტიენსა, მონპელიესა, ტურსა, პუატიესა, ნანტსა, როშფორსა, ბუ-რჟესა და ბეზანსონში.

2 მაისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერა-ტორმა უმაღლესად კეთილ ინება და თავის საკუთარ საშუალებათაგან გა-დასდო 21,400 მანეთი ციმბირის მცენარეულობის შესასწავლადა და ამის შესახების წიგნის გამოსაცემად. ამ საქმის ხელმძღვანელობა მიენდო აკადემიკოსს კორჟინსკის.

**პრეტორია.** ბურებმა ძლიერ და-უშინეს ყუმბარები მეფკინგს. ადგი-ლობრივ მცხოვრებთა უბანი განად-გურებულ იქმნა. ერთმა ყუმბარამ ცეცხლი გააჩინა.

დელაგუას ნავთ-სადგურით სურსა-თის შემოტანის აღკრძალვა უპირვე-ლეს ყოვლისა ტყვე ინგლისელები-სათვის იქმნება საგრძნობელი: სურ-სათს ჯერ ბურგერებს დაურიგებენ, შემდეგ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ და ბოლოს—ტყვეებს.

**სტონხილფერმი.** მეორე ბრიგა-დამ იერიში მიიტანა მტრის მარცხე-ნა ჯარზედ. დენდონალდი მტრის ჯარის შუაგულს მიესია, ხოლო ბე-ტუნის ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა მოუარა მტრის მარჯვენა ჯარს. მტერ-მა იერიშს არც-კი დაუცადა, ისე დაიწია უკან.

**ლონდონი.** პალატა. ჩემბერლენ-მა აცნობა პალატას,—პროექტი არ-სებობს, რომ საიდუმლო საბჭოს წე-ვრებად ჩარიცხულ იქმნას თითო წა-რმომადგენელი კანადისა, ავსტრა-ლიისა, სამხრეთ-აფრიკისა და ინდო-ეთისაო.

**ბუდა-პეშტი.** ავსტრიის დელეგა-ცია. ჩეხმა სლამმა განაცხადა, რომ ჩეხები გარეშე საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგნი იმიტომ იყვნენ, რომ არ ენდობიან გოლუხოვსკისა და იმის პოლიტიკასაო. ჩეხები არასო-დეს არ იყვნენ იმას მოწადინებულ-ნი, რომ ავსტრიას გერმანიასთან ურიგო განწყობილება ჰქონოდა, მა-გრამ ამასთან ისინი რუსეთთან კარ-გის განწყობილების არსებობას მშვი-დობიანობის უზრუნველ-მყოფელადა სთვლიანო. იმათის აზრით უკანასკ-ნელ ამბების წყალობით ეს განწყო-ბილება შესაძლებელი იყო დარღვე-ულიყო. ორატორი შეეკითხა მი-ნისტრს,—რა გააკეთეთ იმ საქმისა, რომელიც შეეხება გერმანიიდგან ჩე-ხელ და პოლონელ მუშების განდე-ვნასაო. პოლონელმა ძედუშიცკიმ გოლუხოვსკის სრული ნდობა გამო-უცხადა. კოზლოვსკიმ სთქვა, საჭი-როა შესდგეს საშუალო ევროპის სა-დამოჟნო ლიგაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებ კარპეზ გი-ორგის ძე კორძაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ სამრევლო სკოლას ასი რვეული.

სოფელ მუხიქედის ერთ კლასიან სამ-რევლო სკოლის მასწავლებელი ივანე სო-ლომონისძე კორძაძე

### სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანი-შნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტა-მენტი

5 მაისი

საქმე სერაფიონ თალაკვაძისა, რომელ-საც პოლიციის ბოქაულის თანაშემწის სო-სიეს წინააღმდეგობა ედება ბრალად.

სახინო ხაჯაიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 9, მე-1459 მუხ. მე-2 ნაწ. და მე-1630 მუხ. აღნიშნული ბრალი ედე-ბა.

ვლახუნ და ყაისარ ღლონტისა, რომელ-თაც აქციზის მოხელისა და იმისს დარაჯთა ცემის ბრალი ედება.

ვარლაამ ლოლუასი, რომელსაც სიყალ-ბის ჩადენის ბრალი ედება.

ერმილე ეფრემიძისა, რომელსაც გატა-ცების ბრალი ედება.

8 მაისი

საქმე სევერიანე კებზინაძისა და ნესტორ ტყეშელაშვილისა, რომელთაც სასჯ.-დებულ. მე-1651 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

ალექსი გოგიასი, რომელსაც სასჯ. დებ. 1453 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი.

16 მაისი

დავანი, რომელიც გამოწვეულ იქმნენ გორის მაზრის აგარაკ ხარულას და ოზურ-გეთის მაზრის აგარაკ ვაკის-ჯვარის გამიჯვ-ნის დროს.

მეორე სამოქალაქო დეპარტამენტი

3 მაისი.

ივანე ჩოხონელიძისა რკინის გზის მარ-თველობასთან დასახიჩრებისათვის დაჯილ-დოვების შესახებ. დავა თავ. ერეკლე ფალა-ვანდიშვილისა თავ. ი. ფალავანდიშვი-ლის წინააღმდეგ მამულის საკუთრების შე-სახებ.

დავა მჭედლიძისა ვორონინებთანა და სხ. მამულის შესახებ.

დავა ზურაბიევისა თავ. ამილახვართან 200 მან. ბარათის სიყალბის შესახებ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი

4 მაისი.

სააპელაციო საჩივარი სოფ. გეგუთის მცხოვრებ. ბარამ და სალომე მდივანებისა იმ დავის შესახებ, რომლითაც ქუთაისის ოლქ. სას. ლუარსაბ მდივანის მამულის მზრუნველი-ქალი მიწას ედავებოდა, 2,020 მან. ღირებულს.

სააპელაც. საჩივარი ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებაზედ დიმიტ-რი გიორგისძის ალავიძისა იმ დავის შესა-ხებ, რომელიც მის წინააღმდეგ აღძრა ბიქ-ტორ აბრამიძემ გზის გამო.

სააპელაც. საჩ. ქუთ. გუბ. სახელმწ. ქონ. რწმუნებულისა იმ დავის გამო, რომელიც ხაზინამ აღძრა სიკო ჯათისა და კირილე თოფურიძის წინააღმდეგ 5000 მან. ღირებულ მიწის შესახებ.

სააპელაც. საჩ. მისივე ხაზინის იმ დავის გამო, რომელიც აღძრულ იქმნა ნესტორ და სხ. თავდგირიძეთა და ჩხეიძის წინააღ-მდეგ მამულის თაობაზედ.

სააპელ. საჩ. ეფთვიმე გოცაძისა იმ 2,100 მან. ღირებულ მამულის შესახებ დავის გამო, რომელიც მან აღძრა პავლე კილა-ძისა და ელენე სულავას (დაბადებით ქეჩქე-მაძის) წინააღმდეგ.

კერძო საჩივარი ქუთაისის ოლქის სასა-მართლოს დადგენილებაზედ პავლე მოსესძე ვაშაკიძისა იმის გამო, რომ მისი მამული იქმნა გაყიდული კონსტანტინე სიტმან-ოღ-ლის დასაკმაყოფილებლად.



# განცხადებანი



## თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ გა-ნუწყვეტლივ აქვს წყალი თავის-თა-ვად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხო-ვოა მინდვრებისა და ბაღების სარწ-ყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მი-ჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—4)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ციმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვი-თელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვუ-რჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელო-ვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპო-ნი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუ-კეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენ-სთან მოსკოვში. ю. (48—6.—7)

**ვკისრულობ**

სასამართლოში საქმეთა წარ-მოებას.

მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ დილის 8—10 საათ. და საღ. 6—8 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 42.

(5—2)

დასასრული

**ქართლის ცხოვრებისა**

მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 2 აბა-ზი. ისყიდება ყველა წიგნის მაღა-ზიაში.

პეტერბ. სამკურნალო გამგეო-ბის ნება რთვით. დიდი კოლო-ფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამა-გრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი სა-შუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათე-თრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამწვარს კაეს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუ-მერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერ-ბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ.12. საწყობს განყო-ფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო სა-ქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტა-კოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგ-ზავნებათ. (100—150—96)